საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №20/01

2010 წლის 22 თებერვალი

ქ. თბილისი

„საჯარო ფასიან ქაღალდებზე საკუთრების უფლების სააღრიცხვო თარიღის დადგენის, ჩანაწერით ფლობის, აქციათა მესაკუთრეობიდან გამომდინარე, უფლება-მოვალეობათა განსაზღვრის და საჯარო ფასიან ქაღალდებზე საკუთრების უფლების წარმოშობის, შეცვლის და შეწყვეტის პროცედურების წესის“ დამტკიცების თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის და 52-ე მუხლის, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს საჯარო ფასიან ქაღალდებზე საკუთრების უფლების სააღრიცხვო თარიღის დადგენის, ჩანაწერით ფლობის, აქციათა მესაკუთრეობიდან გამომდინარე, უფლება-მოვალეობათა განსაზღვრის და საჯარო ფასიან ქაღალდებზე საკუთრების უფლების წარმოშობის, შეცვლის და შეწყვეტის პროცედურების წესი თანდართულ დანართებთან ერთად.

2. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) „საჯარო ფასიან ქაღალდებზე საკუთრების უფლების სააღრიცხვო თარიღის დადგენისა და აქციათა მესაკუთრეობიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობათა განსაზღვრის შესახებ“ წესის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის 2002 წლის 19 სექტემბრის №23 დადგენილება;

ბ) „ჩანაწერით ფლობის შესახებ“ წესის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის 2001 წლის 3 მაისის №10 დადგენილება;

გ) „საჯარო ფასიანი ქაღალდებით არასაბირჟო გარიგების შესახებ“ წესის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის 2002 წლის 2 დეკემბრის №25 დადგენილება.

3. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გ. ქადაგიძე

საჯარო ფასიან ქაღალდებზე საკუთრების უფლების სააღრიცხვო თარიღის დადგენის, ჩანაწერით ფლობის, აქციათა მესაკუთრეობიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობათა განსაზღვრის და საჯარო ფასიან ქაღალდებზე საკუთრების უფლების წარმოშობის, შეცვლის და შეწყვეტის პროცედურების წესი

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. წესის მოქმედების სფერო

ეს წესი განსაზღვრავს საჯარო ფასიან ქაღალდებზე საკუთრების უფლების სააღრიცხვო თარიღის დადგენის, ჩანაწერით ფლობის, აქციათა მესაკუთრეობიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობათა განსაზღვრის და საჯარო ფასიან ქაღალდებზე საკუთრების უფლების წარმოშობის, შეცვლის და შეწყვეტის პროცედურებსა და თანდართული ფორმების შესაბამისად ანგარიშის წარდგენის წესს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

1. ამ წესის მიზნებისათვის ტექსტში გამოიყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) აქციონერთა საერთო კრების მოწვევის თარიღი (შემდგომში – კრების მოწვევის თარიღი) – ანგარიშვალდებული საწარმოს აქციონერთა საერთო კრების მოწვევის უფლების მქონე პირის ან ორგანოს მიერ დადგენილი თარიღი, რომლისთვისაც მოწვეულ უნდა იქნეს აქციონერთა საერთო კრება (შემდგომში – საერთო კრება);

ბ) გამოცხადება – ემიტენტის, ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომში – ეროვნული ბანკი) მიერ დადგენილ ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნება ან/და კანონმდებლობით განსაზღვრული პირებისათვის მოსაწვევების გაგზავნა და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატო-რისათვის (შემდგომში – რეგისტრატორი) შეტყობინება;

გ) საერთო კრების მოწვევის გამოცხადების თარიღი – თარიღი, როდესაც აქციონერთა საერთო კრების მოწვევის უფლების მქონე პირი ან ორგანო აკეთებენ გამოცხადებას საერთო კრების მოწვევის შესახებ კანონმდებლობით განსაზღვრული ფორმით და რომელიც უნდა იყოს არა უგვიანეს 20 კალენდარული დღისა კრების მოწვევის თარიღამდე, მაგრამ საერთო კრების სააღრიცხვო თარიღის შემდეგ;

დ) საერთო კრების სააღრიცხვო თარიღი – თარიღი, რომელიც უნდა დაინიშნოს სამეთვალყურეო საბჭოს

მიერ და რომელიც არ შეიძლება იყოს კრების მოწვევამდე 45 კალენდარულ დღეზე ადრე და კრების მოწვევის გამოცხადების თარიღზე გვიან. საერთო კრების სააღრიცხვო თარიღის დროს დგება აქციონერთა საერთო კრებაში მონაწილეობის უფლებამოსილ აქციონერთა სია. საერთო კრების სააღრიცხვო თარიღი არ უნდა ემთხვეოდეს დასვენების და/ან უქმე დღეს;

ე) დივიდენდების სააღრიცხვო თარიღი – აქციონერთა საერთო კრების მიერ დადგენილი თარიღი, რომელიც უნდა იყოს არანაკლებ 10 კალენდარული დღის შემდეგ ამ თარიღის გამოცხადებიდან. ამ სააღრიცხვო თარიღის (სამუშაო დროის) დასრულების მდგომარეობით დგება იმ აქციონერთა სია, რომელთაც აქვთ დივიდენდების მიღების უფლება. დივიდენდების სააღრიცხვო თარიღი არ უნდა ემთხვეოდეს დასვენების და/ან უქმე დღეს;

ვ) დივიდენდების გაცემის დაწყების თარიღი – აქციონერთა საერთო კრების მიერ დადგენილი თარიღი, საიდანაც საწარმოს წარმოეშობა დივიდენდების გაცემის ვალდებულება და რომელიც უნდა იყოს დივიდენდების გაცემის სააღრიცხვო თარიღიდან არანაკლებ 15 კალენდარული დღის შემდეგ, მაგრამ არა უგვიანეს ორი თვისა იმ საერთო კრების ჩატარებიდან, რომელზედაც გადაწყდა დივიდენდების გაცემა;

ზ) სააღრიცხვო თარიღები – საერთო კრების სააღრიცხვო თარიღი, დივიდენდების სააღრიცხვო თარიღი;

თ) მნიშვნელოვანი თარიღები – კრების მოწვევის თარიღი, დივიდენდების გაცემის დაწყების თარიღი, სააღრიცხვო თარიღები, ასევე მათი გამოცხადების თარიღები.

ი) პირველი საფეხურის ნომინალური მფლობელი – ნომინალურ მფლობელი, რომელსაც ფასიან ქაღალდებზე ნომინალური მფლობელობის უფლება უშალოდ ბენეფიციარი მესაკუთრისაგან აქვს გადაცემული;

კ) ჩანაწერით ფლობა – ფასიანი ქაღალდის ისეთ მფლობელობა, რომელიც დასტურდება ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მიერ ან ამ ფასიანი ქაღალდის ემიტენტის მიერ წარმოებული ფასიანი ქაღალდების რეესტრის ჩანაწერებით. ხოლო თუ ფასიანი ქაღალდი ნომინალურ მფლობელობაშია, მაშინ – ყოველი საფეხურის ნომინალური მფლობელის ჩანაწერებით;

ლ) რეგისტრირებული მფლობელი – ფასიანი ქაღალდების მესაკუთრე ან ნომინალური მფლობელი, რომელიც რეგისტრირებულია ფასიანი ქაღალდების რეესტრში;

მ) რეგისტრირებული მესაკუთრე – პირი, რომელიც არ არის ფასიანი ქაღალდების ნომინალური მფლობელი ან რეგისტრირებული მფლობელის წარმომადგენელი და რომელიც აკმაყოფილებს ნებისმიერ შემდეგ მოთხოვნას:

მ.ა) არის ფასიანი ქაღალდის რეგისტრირებული მფლობელი, გარდა ნომინალური მფლობელისა;

მ.ბ) წერილობითი შეთანხმების საფუძველზე ნებას რთავს ნომინალურ მფლობელს, იმოქმედოს მისი ინტერესებისათვის;

მ.გ) იღებს ფულად მოგებას, როგორც ფასიანი ქაღალდის მესაკუთრე;

მ.დ) აქვს ფასიან ქაღალდთან დაკავშირებული ხმის განკარგვის უფლება;

მ.ე) აქვს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლება, გახდეს ფასიანი ქაღალდის რეგისტრირებული მესაკუთრე;

ნ) არასაბირჟო გარიგებები – საჯარო ფასიანი ქაღალდებით გარიგებები, საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ გატანის გარეშე;

ო) განკარგულება – ამ წესის მოთხოვნების შესაბამისად შედგენილი და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორისადმი ან ნომინალური მფლობელისადმი წარსადგენი წერილობითი დოკუმენტი, რომელიც საჯარო ფასიან ქაღალდზე საკუთრების უფლების წარმოშობას, შეცვლას ან/და შეწყვეტას ადასტურებს. განკარგულება სამი სახისაა:

ო.ა) გასხვისების განკარგულება – რომელიც დგება იმ არასაბირჟო გარიგების დროს, რომლის შედეგადაც ფასიანი ქაღალდების რეგისტრირებული მფლობელი თავის პირად ანგარიშზე არსებულ საჯარო ფასიან ქაღალდებს არასაბირჟო გარიგებით ასხვისებს;

ო.ბ) გირავნობის განკარგულება – რომელიც დგება იმ არასაბირჟო გარიგების დროს, როგორიც საჯარო ფასიანი ქაღალდის დაგირავებაა და რომლის შედეგადაც ფასიანი ქაღალდების რეგისტრირებული მფლობელი თავის პირად ანგარიშზე არსებულ საჯარო ფასიან ქაღალდებს აგირავებს;

ო.გ) გადასაცემი განკარგულება – რომელიც დგება რეგისტრირებული მფლობელის მიერ თავის პირად ანგარიშზე არსებული ფასიანი ქაღალდების ნომინალურ მფლობელობაში გადაცემის შემთხვევაში, ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც ნომინალური მფლობელი ფასიან ქაღალდებს გადასცემს იმ პირს (კლიენტს), რომლის ინტერესებისთვის და დავალებით იგი ნომინალურად ფლობდა ფასიან ქაღალდებს ან შეიძინა ისინი;

პ) საბირჟო ვაჭრობა – ფასიანი ქაღალდის ნასყიდობის გარიგების დადება საფონდო ბირჟის სავაჭრო სესიაზე;

ჟ) პირადი ანგარიში – ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორთან ფასიანი ქაღალდების რეგისტრირებული მფლობელის სახელზე გახსნილი ფასიანი ქაღალდების ანგარიში;

რ) (ამოღებულია - 18.09.20, №164/04);

ს) დეპოზიტარული ხელწერილი – ფასიანი ქაღალდები, რომლებიც წარმოადგენენ უფლებებს ემიტენტის მიერ უცხო ქვეყანაში გამოშვებულ გარკვეული რაოდენობის სხვა საჯარო ფასიან ქაღალდებზე და რომელთა საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვება და ვაჭრობა შესაძლებელია უცხო ქვეყანაში გამოშვებული ფასიანი ქაღალდებისგან დამოუკიდებლად.

2. ამ წესში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვთ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონითა და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული მნიშვნელობა.

თავი II. საჯარო ფასიან ქაღალდებზე საკუთრების უფლების სააღრიცხვო თარიღის დადგენა და აქციათა მესაკუთრეობიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობათა განსაზღვრა

მუხლი 3. ჩანაწერით მფლობელები

ჩანაწერით მფლობელად ითვლება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირი:

ა) ფასიანი ქაღალდების რეგისტრირებული მფლობელი;

ბ) ფასიანი ქაღალდების ბენეფიციარი მესაკუთრე, რომლის ფასიან ქაღალდებს ნომინალური მფლობელი ფლობს;

გ) ყოველი ის პირი, რომელიც ამ მუხლის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით განსაზღვრული ნებისმიერი პირის ჩანაწერით ფლობაში არსებული ფასიანი ქაღალდის (ქაღალდების) თანამესაკუთრეა.

მუხლი 4. პირველი საფეხურის ნომინალურ მფლობელთა ვალდებულებები

1. პირველი საფეხურის ნომინალურმა მფლობელმა ემიტენტსა და მისი ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორს ყოველი კალენდარული წლის დასაწყისიდან 30 კალენდარული დღის ვადაში უნდა წარუდგინოს იმ ჩანაწერით მფლობელთა რაოდენობის ამსახველი ანგარიში, რომელთა ფასიან ქაღალდებსაც იგი წინა წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობდა.

2. ემიტენტის ან მისი ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მოთხოვნით, პირველი საფეხურის ნომინალური მფლობელი ვალდებულია მოთხოვნიდან 7 სამუშაო დღის ვადაში მას იმ ჩანაწერით მფლობელთა რაოდენობის ამსახველი განახლებული ანგარიში წარუდგინოს, რომელთა ფასიან ქაღალდებსაც იგი ფლობს.

3. ეროვნული ბანკის მოთხოვნით, პირველი საფეხურის ნომინალური მფლობელი ვალდებულია მოთხოვნიდან 7 სამუშაო დღის ვადაში მას იმ ჩანაწერით მფლობელთა რაოდენობის ანგარიში წარუდგინოს, რომელთა ფასიან ქაღალდებსაც იგი ფლობს, მათი ვინაობის, საკონტაქტო ინფორმაციისა და მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობის მითითებით.

4. პირველი საფეხურის ნომინალურმა მფლობელმა ამ მუხლით გათვალისწინებული ანგარიშების წარდგენისათვის ტარიფი არ უნდა დააწესოს.

მუხლი 5. მნიშვნელოვანი თარიღების დადგენა

1. სამეთვალყურეო საბჭო საწარმოს საერთო კრების სააღრიცხვო თარიღს ადგენს „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონისა და ამ წესის შესაბამისად.

2. დივიდენდების სააღრიცხვო თარიღი და დივიდენდების გაცემის დაწყების თარიღი დგინდება აქციონერთა იმ საერთო კრების მიერ, რომელიც სათანადოდ გამოცხადებული დღის წესრიგის მიხედვით უფლებამოსილია გადაწყვიტოს დივიდენდების ოდენობისა და მათი გაცემის საკითხი.

მუხლი 6. ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილეების ვალდებულებები მნიშვნელოვან თარიღებთან დაკავშირებით

1. ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებად მონაწილეებისათვის გამოცხადება (ამ წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი) ითვლება ოფიციალურ შეტყობინებად, რომლის შესაბამისად მათ წარმოეშობათ ამ მუხლით განსაზღვრული ვალდებულებები.

2. ცენტრალურ დეპოზიტარსა და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორს (რეგისტრატორებს) შორის უნდა გაფორმდეს ხელშეკრულება, რომელიც ურთიერთობის სხვა საკითხებთან ერთად განსაზღვრავს ინფორმაციის (მათ შორის, რეესტრიდან ამონაწერების) მიწოდებისა და გაცვლის ფორმებს, ვადებსა და მონაცემთა შედარების პროცედურებს.

3. იმ შემთხვევაში, თუ საბროკერო კომპანია წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების ნომინალურ მფლობელს, მაშინ ნომინალურ მფლობელად გახდომიდან ხუთი სამუშაო დღის ვადაში უნდა გაფორმდეს ხელშეკრულება აღნიშნულ საბროკერო კომპანიისა და იმ ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორს შორის, რომელიც აწარმოებს ამ ფასიანი ქაღალდების რეესტრს, რომელიც ურთიერთობის სხვა საკითხებთან ერთად განსაზღვრავს ინფორმაციის (მათ შორის რეესტრიდან ამონაწერების) მიწოდებისა და გაცვლის ფორმებს, ვადებსა და მონაცემთა შედარების პროცედურებს.

4. ცენტრალური დეპოზიტარი სააღრიცხვო თარიღიდან 3 სამუშაო დღის ვადაში რეგისტრატორს მიაწვდის ინფორმაციას შეტყობინებაში მითითებული ემიტენტის იმ ფასიანი ქაღალდების შესახებ, რომლის რეგისტრირებულ მფლობელსაც წარმოადგენს დეპოზიტარი. ეს ინფორმაცია უნდა მოიცავდეს:

ა) იმ ბენეფიციარ მესაკუთრეთა სიას, რომელთა ფასიანი ქაღალდების პირველი საფეხურის ნომინალურ მფლობელს წარმოადგენს დეპოზიტარი, მათი იდენტიფიცირებისთვის საჭირო სრული ინფორმაციისა და თითოეულის საკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდების ოდენობის მითითებით;

ბ) იმ ნომინალურ მფლობელთა სიას, რომელთა ფასიანი ქაღალდების მომდევნო საფეხურის ნომინალურ მფლობელსაც წარმოადგენს დეპოზიტარი, მათი იდენტიფიცირებისთვის საჭირო სრული ინფორმაციისა და თითოეულის მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდების ოდენობის მითითებით.

5. საბროკერო კომპანია, რომელიც წარმოადგენს ამ ემიტენტის ფასიანი ქაღალდების რეგისტრირებულ მფლობელს, სააღრიცხვო თარიღიდან 3 სამუშაო დღის ვადაში აწვდის რეგისტრატორს შემდეგ ინფორმაციას:

ა) იმ ბენეფიციარ მესაკუთრეთა სიას, რომლებმაც არ მიანიჭეს საბროკერო კომპანიას კრებაზე მათ ხმების განკარგვისა და მათი სახელით დივიდენდების მიღების უფლებამოსილება, მათი იდენტიფიცირებისთვის საჭირო სრული ინფორმაციისა და თითოეულის საკუთრებაში არსებული ამ ემიტენტის ფასიანი ქაღალდების ოდენობის მითითებით;

ბ) იმ ფასიანი ქაღალდების ოდენობას, რომლის განკარგვის უფლებაც მიანიჭეს ბენეფიციარმა მესაკუთრეებმა საბროკერო კომპანიას, ან რომელთა ბენეფიციარ მესაკუთრესაც წარმოადგენს თვით ეს საბროკერო კომპანია.

6. საბროკერო კომპანია ვალდებულია თავის ყველა კლიენტს, რომელიც ფლობს ამ ანგარიშვალდებული საწარმოს ფასიან ქაღალდებს, დაუყოვნებლივ შეატყობინოს სააღრიცხვო თარიღის შესახებ. აგრეთვე ამ აქციების ყიდვაზე ან გაყიდვაზე კლიენტის დავალების მიღების შემთხვევაში, იგი ვალდებულია შეატყობინოს და მისცეს განმარტება კლიენტს სააღრიცხვო თარიღის თაობაზე.

7. მიღებული ინფორმაციის შეუსაბამობის შემთხვევაში რეგისტრატორი ვალდებულია არა უგვიანეს მეორე დღისა აცნობოს ამის შესახებ ინფორმაციის მიმწოდებელს (მიმწოდებლებს) და მიიღოს ზომები ამ შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად ურიერთშედარების გზით.

8. ინფორმაციის მიმწოდებელი (მიმწოდებლები) ვალდებულია არა უგვიანეს მესამე დღისა მიაწოდოს რეგისტრატორს მიწოდებული ინფორმაციის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტი (უკანასკნელი თარიღით რეგისტრატორის მიერ გაცემული ამონაწერი რეესტრიდან).

9. მასთან არსებული და ამ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით განსაზღვრული ინფორმაციის საფუძველზე რეგისტრატორი შესაბამისად ადგენს საერთო კრებაზე მონაწილეობის ან დივიდენდების მიღების უფლებამოსილების მქონე პირთა სიას მათი იდენტიფიცირებისათვის საჭირო სრული ინფორმაციისა და თითოეულის მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდების ოდენობის მითითებით.

10. სააღრიცხვო თარიღიდან 6 სამუშაო დღის ვადაში რეგისტრატორი გადასცემს ემიტენტს ამ მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრულ სიას, რომლის ყოველი გვერდი დამოწმებული უნდა იყოს მის მიერ სათანადოდ უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და რეგისტრატორის ბეჭდით.

11. იმ შემთხვევაში, თუ რეგისტრატორსა და ემიტენტს შორის არსებული ხელშეკრულება მოიცავს რეგისტრატორის მიერ საერთო კრების გამოცხადების ვალდებულებას, რეგისტრატორი კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და ფორმით უზრუნველყოფს საერთო კრების გამოცხადებას.

12. იმ შემთხვევაში, თუ რეგისტრატორსა და ემიტენტს შორის არსებული ხელშეკრულება არ მოიცავს რეგისტრატორის მიერ საერთო კრების გამოცხადების ვალდებულებას, რეგისტრატორი გამოცხადების თარიღამდე სულ მცირე ორი სამუშაო დღით ადრე აწვდის ემიტენტს ამ მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრულ ინფორმაციას.

თავი III. საჯარო ფასიანი ქაღალდებით არასაბირჟო გარიგებები

მუხლი 7. საჯარო ფასიანი ქაღალდებით არასაბირჟო გარიგებანი

1. საბროკერო კომპანიის მონაწილეობით ან საბროკერო კომპანიის მონაწილეობის გარეშე საჯარო ფასიანი ქაღალდებით შეიძლება დაიდოს შემდეგი სახის არასაბირჟო გარიგებები :

ა) საჯარო ფასიანი ქაღალდების ჩუქება;

ბ) საჯარო ფასიანი ქაღალდების დაგირავება;

გ) საჯარო ფასიანი ქაღალდების გაცვლა;

დ) საჯარო ფასიანი ქაღალდების ნასყიდობა, მათ შორის, სატენდერო შეთავაზებით;

ე) ემიტენტის მიერ საჯარო ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53[1] მუხლის თანხმად;

ვ) საწესდებო კაპიტალში საჯარო ფასიანი ქაღალდებით შენატანის განხორციელებისას;

ზ) სხვა გარიგებები, რომელიც არ ეწინააღმდეგება ამ წესისა და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

2. თუ ერთი პირადი ანგარიშით რამდენიმე მესაკუთრე ფლობს გასასხვისებელ ან დასაგირავებელ საჯარო ფასიანი ქაღალდს/ქაღალდებს (თანასაკუთრება), მაშინ გარიგებაში მონაწილე საბროკერო კომპანიას ან ფასიან ქაღალდების რეგისტრატორს წარედგინება ყველა თანამესაკუთრის წერილობითი თანხმობა.

3. წილის უპირატესი შესყიდვის უფლება განისაზღვრება თანამესაკუთრეთა შეთანხმებით, კანონმდებლობის შესაბამისად.

4. საბროკერო კომპანიის ან ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მონაწილეობით 100 ლარზე მეტი თანხის ოდენობით საჯარო ფასიანი ქაღალდებით არასაბირჟო გარიგების დადებისას საფონდო ბირჟაზე საჯარო ფასიანი ქაღალდების რაოდენობისა და ფასის დაფიქსირება ხდება საფონდო ბირჟის წესების შესაბამისად.

5. საბროკერო კომპანიამ ან ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორმა ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული გარიგების დადებისას საფონდო ბირჟაზე ფასიანი ქაღალდების რაოდენობისა და ფასის დაფიქსირება უნდა მოახდინოს გარიგების დადებიდან არა უგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, ბირჟის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

6. საფონდო ბირჟა ვალდებულია დაუყოვნებლივ მიიღოს საჯარო ფასიანი ქაღალდებით არასაბირჟო გარიგებისას დადგენილი მოთხოვნების დაცვით მომზადებული განაცხადი ფასიანი ქაღალდების რაოდენობისა და ფასის დაფიქსირების თაობაზე და ასახოს იგი საფონდო ბირჟის წესების შესაბამისად.

7. არასაბირჟო გარიგების შედეგად საჯარო ფასიან ქაღალდებზე საკუთრების უფლება წარმოშობილად, შეცვლილად ან/და შეწყვეტილად ჩაითვლება:

ა) ამ გარიგების ფაქტის შესახებ ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორთან სათანადო ჩანაწერის გაკეთების მომენტიდან;

ბ) ნომინალურ მფლობელთან სათანადო ჩანაწერის გაკეთების მომენტიდან, თუ გარიგების ყველა მხარე ერთი და იმავე ნომინალური მფლობელის კლიენტია და გარიგების საგნად არსებული ფასიანი ქაღალდები ამ ნომინალურ მფლობელს აქვს გადაცემული.

მუხლი 8. საჯარო ფასიანი ქაღალდებით ზოგიერთი გარიგების დადების შეზღუდვები

1. დაუშვებელია იმ ფასიანი ქაღალდის საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ გატანა, რომლის საფასური მისი ემიტენტისათვის სრულად არ არის დაფარული. თუ ამგვარი აქციის კლასი საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებულია, მის გასაყიდად ჯერ საფასურის დაფარვა უნდა მოხდეს, ხოლო შემდეგ გადაცემულ იქნეს ნომინალურ მფლობელობაში.

2. დაუშვებელია იმ საჯარო ფასიანი ქაღალდების გაცვლა, რომელიც სავაჭროდ საფონდო ბირჟაზეა დაშვებული. ასეთ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნას საჯარო ფასიანი ქაღალდების ნასყიდობის შესაბამისი წესები. აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებული საჯარო ფასიანი ქაღალდების შესაბამისი დეპოზიტარული ხელწერილის სანაცვლოდ დეპოზიტარისათვის ნომინალურ ან ბენეფიციარულ მფლობელობაში გადაცემისას და ამგვარი ფასიანი ქაღალდების დეპოზიტარული ხელწერილის მფლობელთათვის დაბრუნებისას.

3. დაუშვებელია ერთი საჯარო ფასიანი ქაღალდის მხოლოდ ნაწილის გადაცემა ნომინალურ მფლობელობაში, მისი გადაცემა უნდა მოხდეს მთლიანად, ყველა თანამესაკუთრის თანხმობით.

4. საფონდო ბირჟის, ცენტრალური დეპოზიტარის და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მიერ გამოშვებული საჯარო ფასიანი ქაღალდებით გარიგებებზე ამ წესის მოქმედება ვრცელდება კანონით და ამ იურიდიულ პირთა წესებით (წესდებით) განსაზღვრულ თავისებურებათა გათვალისწინებით.

5. ფასიანი ქაღალდების სესხება ექვემდებარება ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნებს.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 18 სექტემბრის ბრძანება №164/04 - ვებგვერდი, 21.09.2020 წ.

მუხლი 9. საჯარო ფასიან ქაღალდზე საკუთრების უფლების წარმოშობის, შეცვლის და შეწყვეტის ისეთი შემთხვევები, რომლებიც ამ წესის მე-7 მუხლით გათვალისწინებულ პროცედურებს არ საჭიროებს

1. საფონდო ბირჟაზე ვაჭრობას და ამ წესით გათვალისწინებულ განკარგულებათა შედგენას არ ექვემდებარება საჯარო ფასიან ქაღალდზე საკუთრების უფლების წარმოშობა, შეცვლა ან/და შეწყვეტა:

ა) მემკვიდრეობის საფუძველზე;

ბ) სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილება საფონდო ბირჟაზე დაშვებული ფასიანი ქაღალდის გაყიდვას ადგენს;

გ) იმ კორპორაციული საქმიანობის საფუძველზე, რომელიც დაკავშირებულია საწარმოს საწესდებო კაპიტალის ოდენობის ან/და სტრუქტურის ცვლილებასთან, კერძოდ:

გ.ა) საწარმოს დაფუძნებისას საჯარო ფასიან ქაღალდზე საკუთრების უფლების წარმოშობა საწარმოს დამფუძნებლისათვის (შენატანის შესრულება);

გ.ბ) „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარო ფასიან ქაღალდზე (ქაღალდებზე) საკუთრების უფლების წარმოშობა, შეცვლა ან/და შეწყვეტა;

გ.გ) საჯარო ფასიან ქაღალდზე საკუთრების უფლების წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა საწარმოს გარდაქმნის, შერწყმის ან ნატურით გაყოფის შედეგად;

გ.დ) საჯარო ფასიან ქაღალდზე საკუთრების უფლების წარმოშობა ემიტენტის მიერ საჯარო ფასიანი ქაღალდების ემისიის (მათ შორის, აქციონერთა უპირატესი შესყიდვის უფლების განხორციელების) შედეგად. აგრეთვე, საჯარო ფასიან ქაღალდზე საკუთრების უფლების წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა ფასიანი ქაღალდის მფლობელის თხოვნით მის მფლობელობაში არსებული საჯარო ფასიანი ქაღალდის საჯარო შეთავაზებაში შეტანის შედეგად;

გ.ე) საჯარო ფასიან ქაღალდზე საკუთრების უფლების წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა საჯარო ფასიანი ქაღალდის დანაწევრების, შერწყმის ან კონვერსიის შედეგად.

2. ამ წესით არ რეგულირდება სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საჯარო ფასიანი ქაღალდის „სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესებით გასხვისება, თუ ეს ფასიანი ქაღალდი მისი მესაკუთრის მიერ ბირჟაზე სავაჭროდ არ არის გამოტანილი.

3. ხელშეკრულებები, რომლებიც წარმოებულ ფასიან ქაღალდებს წარმოადგენს (ფიუჩერსი, ოფციონი და სხვ.) და რომელთა საგანი ამ მუხლის პირველი ან/და მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ფასიანი ქაღალდებია, კანონისა და ამ წესის მოთხოვნებს ექვემდებარება.

4. საბროკერო კომპანიის მიერ ემიტენტისაგან ფასიანი ქაღალდების შეთავაზების ხელშეკრულებით

შესყიდული ფასიანი ქაღალდების შემდგომი გასხვისება ექვემდებარება ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობისა და შესაბამისი საფონდო ბირჟის წესების მოთხოვნებს.

მუხლი 10. განკარგულების შემდგენის ვალდებულებანი

1. არასაბირჟო გარიგებით საჯარო ფასიანი ქაღალდების შეძენა-გასხვისების ან დაგირავებისას (ნასყიდობა, ჩუქება, გაცვლა, გამოსყიდვა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53[1] მუხლის თანახმად, საწესდებო კაპიტალში შენატანის საჯარო ფასიანი ქაღალდებით შესრულება), გარიგების მხარეების, გარიგების შუამავალი საბროკერო კომპანიის ან ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მიერ შედგენილ უნდა იქნეს გასხვისების განკარგულება (ამ წესის დანართი №1-ით გათვალისწინებული ფორმით), ხოლო დაგირავებისას – გირავნობის განკარგულება (ამ წესის დანართი №2-ით გათვალისწინებული ფორმით).

2. საბროკერო კომპანია ან ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი, რომელსაც დაევალა გარიგების შესახებ განკარგულების შედგენა, ვალდებულია:

ა) გარიგების მხარეებს ხელი შეუწყოს მათი უფლებების განხორციელებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაში;

ბ) გარიგების მხარეებს განუმარტოს მათი უფლება-მოვალეობანი და ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობით გათვალისწინებული საანგარიშგებო ან სხვა შესაბამისი მოთხოვნები მოცემული გარიგებებისადმი;

გ) გარიგების მხარეებს აცნობოს შემძენი, გასასხვისებელი ან დასაგირავებელი საჯარო ფასიანი ქაღალდის საფონდო ბირჟაზე დადგენილი უკანასკნელი საშუალო შეწონილი ფასი, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

დ) უზრუნველყოს, რომ გარიგების მხარეებმა გარიგება მისი დადების მომენტისათვის ობიექტურად შესაძლებელი ყველაზე ხელსაყრელი პირობებით დადონ;

ე) გარიგების მხარეები გააფრთხილოს შესასრულებელი საშუამავლო მოქმედების იურიდიული შედეგების შესახებ, რათა ინვესტირების საკითხებსა და ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობაში მხარეთა გაუთვითცნობიერებლობა მათივე ინტერესების საზიანოდ არ იქნას გამოყენებული.

3. თუ გარიგების მხარე წერა-კითხვის უცოდინარი ან უსინათლოა, ბროკერი მოვალეა წაუკითხოს მას განკარგულების ტექსტი. თუ გარიგების მხარე ყრუ ან/და მუნჯია, ბროკერმა განკარგულების შედგენას უნდა დაასწროს შესაბამისი სპეციალისტი ან იგი, ვინც თავისუფლად ამყარებს კონტაქტს ამგვარ პირთან და ვისაც შეუძლია გააგებინოს მას საქმის არსი.

4. ბროკერის ბრალეულობის ფარგლებში, საბროკერო კომპანია პასუხისმგებელია მისი ბროკერის მიერ შედგენილი განკარგულების კანონიერებაზე. ამგვარი პასუხისმგებლობა არ დადგება, თუ გარიგების ბათილობა ან უკანონობა გამოწვეულია გარიგების მხარის (მხარეების) ბრალით.

5. საბროკერო კომპანიის მიერ ყოველი განკარგულებით შემდგარი გარიგება უნდა გატარდეს ოპერაციათა აღრიცხვის ჟურნალში (პირველადი გატარებების დავთარში).

მუხლი 11. მოთხოვნები განკარგულების შედგენისადმი

1. არასაბირჟო გარიგებისას განკარგულების შესადგენად საბროკერო კომპანიას ან ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორს უნდა წარედგინოს:

ა) ამონაწერი რეესტრიდან, რომლითაც დადასტურებულია შესაბამისი კლასისა და რაოდენობის ფასიან ქაღალდზე პირის საკუთრების უფლება;

ბ) ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) თანამესაკუთრეობის შემთხვევაში, აგრეთვე ყველა თანამესკუთრის წერილობითი თანხმობა ან სანოტარო წესით დამოწმებული რწმუნებულება, რომ თანამესაკუთრე სხვების სახელით მოქმედებს;

დ) საწარმოს შესაბამისი ორგანოს (თანამდებობის პირის) თანხმობა მოცემული კლასის ფასიანი ქაღალდების გადაცემაზე, თუ ამ კლასის გადაცემა საწარმოს წესდებით ამგვარ თანხმობას საჭიროებს;

ე) თუ გარიგებას არასრულწლოვანი ან შეზღუდული ქმედუნარიანი პირი თავად დებს, მაშინ მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის თანხმობა.

2. წარმომადგენლის მეშვეობით გარიგების დადებისას დამატებით წარმოდგენილ უნდა იქნეს:

ა) თუ წარმომადგენელი ფიზიკური პირია – წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ამასთან, სამეურვეო ან სამზრუნველო პირის სახელით ჩუქება დაუშვებელია), ან თუ იგი ამ პირის მშობელია – პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და წარმოდგენილი პირის დაბადების მოწმობა;

ბ) თუ წარმომადგენელი იურიდიული პირია – იმ პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელსაც კანონით, წესდებით (დებულებით) ან რწმუნებულებით მინიჭებული აქვს გარიგების დადების უფლება წარმოდგენილი იურიდიული პირის სახელით. საბროკერო კომპანია მოვალეა გაეცნოს იურიდიული პირის წესდებას (დებულებას, კანონს, რწმუნებულებას) და შეამოწმოს, შეესაბამება თუ არა შესასრულებელი მოქმედება მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას. თუ იურიდიული პირის მართვა კოლეგიური ორგანოს მიერ ხდება, ამ ორგანოს ხელმძღვანელს მოეთხოვება საბუთი თანამდებობაზე არჩევისა და მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების შესახებ.

3. ფიზიკური პირის ვინაობა შეიძლება დადგინდეს ძალაში არსებული რომელიმე შემდეგი დოკუმენტით:

ა) მოქალაქის პირადობის მოწმობით ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტით;

ბ) 14 წლამდე ასაკის არასრულწლოვანის შემთხვევაში – პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

4. განკარგულების შედგენისას დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს შემდეგი მოთხოვნები:

ა) ტექსტი ნათლად და გარკვევით უნდა ჩაიწეროს;

ბ) შეძენილ-გასხვისებული ან დაგირავებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობა როგორც ციფრებში, ასევე სიტყვებით უნდა დაიწეროს;

გ) იურიდიული პირის საფირმო სახელწოდება (დასახელება) შეუმოკლებლად უნდა დაიწეროს;

დ) იმ ფასიანი ქაღალდების ჩუქების, გაცვლის ან დაგირავებისას, რომლის ფასი ემიტენტისათვის სრულად არ არის დაფარული, საკუთრებაში მიმღებ მხარეს ან მოგირავნეს განკარგულებაზე ხელმოწერამდე უნდა ეცნობოს ფასის არასრულად დაფარვის შესახებ;

ე) თუ გარიგების მხარე არასრულწლოვანი ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირია და იგი გარიგებას თავად, კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით დებს, მაშინ საბროკერო კომპანიას უნდა წარედგინოს ეს თანხმობა. ამასთან, ამგვარმა პირმა სატენდერო შეთავაზება შეიძლება განახორციელოს მხოლოდ თავისი კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობით, ხოლო ორმხრივი გარიგება დადოს ამგვარი თანხმობის გარეშეც, თუ მისთვის ეს გარიგება სარგებლიანია და ეს საფონდო-საბირჟო მონაცემებით დასტურდება. ორმხრივი გარიგების დადებისას კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა შეიძლება წარდგენილ იქნეს წერილობით, ან საბროკერო კომპანიის მიერ მიღებულ იქნეს ზეპირად, უშუალოდ წარმომადგენლისაგან.

5. თუ საჯარო ფასიანი ქაღალდის გაცვლის გარიგების ის მხარე, რომელიც საჯარო ფასიანი ქაღალდს გადასცემს, სანაცვლოდ ისეთ ქონებას იღებს, რომელზედაც საკუთრების უფლება მხოლოდ საქართველოს რომელიმე საკანონმდებლო აქტით დადგენილი ფორმის დაცვით წარმოიშობა, მაშინ საჯარო ფასიანი ქაღალდის გაცვლის გარიგებისას გასხვისების განკარგულების შესადგენად სავალდებულოა, რომ დაცულ იქნას აღნიშნული ფორმა.

6. არასაბირჟო გარიგების მხარეებმა განკარგულებაზე ხელი ბროკერის ან რეგისტრატორის თანდასწრებით უნდა მოაწერონ (ბლოკირების მოხსნის მოთხოვნისას ხელმოწერების გარდა). თუ იგი ხელმოწერას არ დასწრებია, ხელმომწერმა პირადად უნდა დაუდასტუროს, რომ განკარგულებას ხელი მან მოაწერა. თუ გარიგების მხარე განკარგულებას ხელს თვითონ ვერ აწერს წერა-კითხვის უცოდინარობის, ფიზიკური ნაკლის ან ავადმყოფობის გამო, მას შეუძლია ხელის მოწერა სანოტარო ფორმის დაცვით სხვას მიანდოს.

თავი IV. სატენდერო შეთავაზება

მუხლი 12. საჯარო ფასიანი ქაღალდების ნასყიდობა სატენდერო შეთავაზების გზით

1. თუ სატენდერო შემთავაზებელს ანგარიშვალდებული საწარმოს რომელიმე კლასის საჯარო ფასიანი ქაღალდების შესყიდვა სურს იმ რაოდენობით, რომლის შედეგადაც მის საკუთრებაში აღმოჩნდება ამ კლასის ფასიანი ქაღალდების 10%-ზე მეტი, მან სატენდერო შეთავაზების განცხადების ეროვნულ ბანკში წარდგენამდე, ეროვნულ ბანკს წერილობით უნდა შეატყობინოს ამგვარი სატენდერო შეთავაზების სურვილის შესახებ და შეტყობინებას თან უნდა დაურთოს შეთავაზების განცხადების პროექტი. განცხადება შემთავაზებელმა უნდა გამოაქვეყნოს ასევე ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

2. სატენდერო შეთავაზების განცხადება შემდეგი შემცველობის უნდა იყოს:

ა) ფასიანი ქაღალდების ის კლასი, რომლის შესყიდვაც სურს შემთავაზებელს;

ბ) ფასიანი ქაღალდების ის რაოდენობა, რომლის შესყიდვაც სურს შემთავაზებელს;

გ) ის ფასი, რომლითაც შემთავაზებელს ფასიანი ქაღალდების შესყიდვა სურს;

დ) მოცემული ანგარიშვალდებული საწარმოს მიერ გამოშვებული ყოველი ფასიანი ქაღალდის კლასი და როგორც პროცენტული, ასევე რიცხობრივი რაოდენობა, რომლის რეგისტრირებული მფლობელიც ან/და მინდობილობით მფლობელიც არის შემთავაზებელი;

ე) სატენდერო შეთავაზების ვადები, კერძოდ რა ვადის განმავლობაში იღებს შემთავაზებელი განცხადებებს, რა ვადის განმავლობაში განიხილავს მათ და როდის იღებს გადაწყვეტილებას;

ვ) პირობა, რომ სატენდერო შეთავაზება შედგება მხოლოდ მაშინ, თუ შემთავაზებელი განცხადებაში აღნიშნული რაოდენობის გაყიდვაზე მიიღებს თანხმობას;

ზ) პირობა, რომ სატენდერო შეთავაზების რომელიმე პირობის შეცვლის შემთხვევაში გაკეთდება შეთავაზების განცხადების განახლებული ვერსია და დადგენილი წესით გავრცელდება;

თ) პირობა, რომ შემთავაზებლისათვის გათვალისწინებულზე მეტი ფასიანი ქაღალდის გაყიდვაზე თანხმობის მიღების შემთხვევაში ფასიანი ქაღალდები შესყიდულ იქნება თანაბარწილად, პროცენტულობის ან რაოდენობის მიხედვით;

ი) პირობა, რომ შესყიდვა მოხდება სატენდერო შეთავაზების ვადის გასვლის შემდეგ;

კ) შეთავაზების აგენტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საფირმო სახელწოდება, ლიცენზიის ნომერი, იურიდიული მისამართი და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი;

ლ) თუ შემთავაზებელს სურს, რომ რეგისტრირებულ მფლობელებს რაიმე რეკომენდაცია მისცეს ან თავისი სამომავლო მოქმედების გეგმა აცნობოს, მას შეუძლია ეს განცხადებაში შეიტანოს.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ და „თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირობები არ მოითხოვება იმ შემთხვევაში, თუ ხორციელდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53^2 მუხლით განსაზღვრული

სავალდებულო სატენდერო შეთავაზება.

4. სატენდერო შეთავაზების ვადა არ უნდა იყოს 2 თვეზე ნაკლები სატენდერო შეთავაზების განცხადების გავრცელების დღიდან.

5. სატენდერო შეთავაზების განცხადება უნდა გამოქვეყნდეს სსიპ – საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ან სხვა ისეთი საშუალების გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს ფასიანი ქაღალდების რეგისტრირებული მფლობელებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, ასევე, ემიტენტის ვებგვერდის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მეშვეობით, ხოლო საფონდო ბირჟაზე დაშვებული ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში – დამატებით, ასევე, საფონდო ბირჟის ვებგვერდის მეშვეობით.

6. თუ სატენდერო შემთავაზებელი სატენდერო შეთავაზების ვადის გასვლამდე ცვლის სატენდერო შეთავაზების რომელიმე პირობას, მან უნდა მოამზადოს და ამ მუხლით გათვალისწინებული წესით გაავრცელოს სატენდერო შეთავაზების განცხადების განახლებული ვერსია, ამასთან, თუ იგი შეთავაზებულ თანხას ზრდის, მაშინ მან განახლებული ვერსიის გავრცელებამდე დათანხმებულ ყველა რეგისტრირებულ მფლობელებსაც გაზრდილი თანხა უნდა გადაუხადოს. ამ მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა ამ შემთხვევაშიც უნდა იქნეს დაცული.

7. გაყიდვაზე თანხმობა შეიძლება გაკეთდეს შეთავაზების ვადის გასვლამდე წერილობით ან ზეპირად, მაგრამ მისი მიღების წერილობითი დადასტურებით. თუ თანხმობა გაყიდვაზე ფასიანი ქაღალდების რეგისტრირებული მფლობელისაგან მიღებულ იქნა სატენდერო შეთავაზების ვადის გასვლის შემდეგ, მაგრამ თანხმობიდან ირკვევა, რომ იგი დროულად არის გამოგზავნილი, თანხმობა დაგვიანებულად ჩაითვლება მხოლოდ მაშინ, თუ სატენდერო შემთავაზებელი ან მისი აგენტი დამთანხმებელს დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ. შემთავაზებელს უფლება აქვს მისაღებად ჩათვალოს დაგვიანებული თანხმობაც, ამ მუხლის მე-10 პუნქტის გათვალისწინებით.

8. საჯარო ფასიანი ქაღალდების რეგისტრირებულ მფლობელს, რომელიც შეთავაზების პირობებს დათანხმდა, სატენდერო შეთავაზების ვადის გასვლამდე უფლება აქვს წერილობით უარი განაცხადოს თავის თანხმობაზე.

9. თუ სატენდერო შემთავაზებელი უფრო მეტი საჯარო ფასიანი ქაღალდის გაყიდვის თანხმობას მიიღებს, ვიდრე ეს შეთავაზების განცხადებაში იყო აღნიშნული, მაშინ მან ფასიანი ქაღალდები შეთავაზებით გათვალისწინებული რაოდენობით თანაბარწილად უნდა შეისყიდოს ყველა დათანხმებული რეგისტრირებული მფლობელისაგან.

10. სატენდერო შეთავაზების პერიოდში შემთავაზებელს და მასთან დაკავშირებულ პირს ეკრძალება:

ა) სატენდერო შეთავაზების გარდა, სხვა ნებისმიერი გზით შეისყიდოს, ან აწარმოოს მოლაპარაკება სატენდერო შეთავაზებაში განხილული ან მათში კონვერტირებადი ფასიანი ქაღალდების შესახებ;

ბ) გაყიდოს სატენდერო შეთავაზებაში აღნიშნული საწარმოს ფასიანი ქაღალდები.

11. თუ სატენდერო შეთავაზების განცხადების გავრცელების ან სატენდერო შეთავაზების ვადის გასვლის შემდეგ სატენდერო შემთავაზებელს მოცემული ფასიანი ქაღალდების შესყიდვა აღარ სურს ან სატენდერო შეთავაზების გზით აღარ სურს, მაშინ მას უფლება აქვს გააუქმოს შეთავაზება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი პირობა სატენდერო შეთავაზების განცხადებაში აღნიშნული იყო ან ვადის გასვლის შემდეგ მიღებულ არ იქნება შემთავაზებლისათვის სასურველი რაოდენობის ფასიანი ქაღალდების გაყიდვაზე თანხმობები. შემთავაზებელმა გაუქმების თაობაზე ყველა რეგისტრირებულ მფლობელს იმავე წესებით უნდა აცნობოს, რომელიც მან განცხადების გავრცელებისას გამოიყენა, თუ შეთავაზების განცხადებაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

12. გასხვისების განკარგულებათა შედგენა შეიძლება მხოლოდ სატენდერო შეთავაზების ვადის გასვლის შემდეგ.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2025 წლის 21 მაისი ბრძანება №122/04 - ვებგვერდი, 22.05.2025 წ.

თავი V. ფასიანი ქაღალდის ნომინალურ მფლობელობაში გადაცემა. ნომინალური მფლობელის მიერ ფასიანი ქაღალდის გადაცემა კლიენტისათვის

მუხლი 13. ამ თავის რეგულირების სფერო

1. ამ თავით გათვალისწინებული მოთხოვნები ვრცელდება შემდეგ შემთხვევებზე:

ა) რეგისტრირებული მფლობელის მიერ ფასიანი ქაღალდის ნომინალურ მფლობელობაში გადაცემა, მათ შორის, სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით;

ბ) ნომინალური მფლობელის მიერ ფასიანი ქაღალდების გადაცემა იმ პირისათვის (კლიენტისათვის), რომლის ინტერესებისთვის და დავალებით იგი ნომინალურად ფლობდა ფასიან ქაღალდებს ან შეიძინა ისინი.

2. ეს თავი არ არეგულირებს ნომინალური მფლობელების მიერ თავიანთ ნომინალურ მფლობელობაში არსებული საჯარო ფასიანი ქაღალდებით საბირჟო ვაჭრობას ან არასაბირჟო გარიგებების დადებას, რაც ექვემდებარება კანონის, ამ წესისა და იმ საფონდო ბირჟისა და ცენტრალური დეპოზიტარის წესების მოთხოვნებს, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება საბირჟო ვაჭრობა.

მუხლი 14. გადასაცემი განკარგულება

1. ფასიანი ქაღალდი იმ მომენტიდან ჩაითვლება გადაცემულად მისი რეგისტრირებული მფლობელის მიერ

ნომინალურ მფლობელობაში, აგრეთვე ნომინალური მფლობელის მიერ იმ პირისათვის (კლიენტისათვის), რომლის ინტერესებისათვის და დავალებით იგი ნომინალურად ფლობდა ფასიან ქაღალდებს ან შეიძინა ისინი, როდესაც დადგენილი წესით გაკეთდება რეგისტრატორთან ჩანაწერი ფასიანი ქაღალდების გადაცემის შესახებ.

2. თუ ნომინალურ მფლობელობაში გადასაცემი ფასიანი ქაღალდი (ქაღალდები) რამდენიმე პირის საკუთრებაშია (ანუ ერთი პირადი ანგარიში რამდენიმე რეგისტრირებული მფლობელის სახელზეა გახსნილი), მაშინ გადაცემისათვის საჭიროა ყველა თანამესაკუთრის წერილობითი თანხმობა, რაც თან უნდა დაერთოს გადასაცემ განკარგულებას. ამ თანხმობებისათვის გამოყენებულ უნდა იქნეს ამ წესის დანართი №5-ით გათვალისწინებული ფორმა. საჭიროების შემთხვევაში რამდენიმე დანართი უნდა შეივსოს.

3. გადასაცემი განკარგულება შედგენილ უნდა იქნეს ამ წესის დანართი №3-ით განსაზღვრული ფორმით.

თავი VI. განკარგულებები

მუხლი 15. განკარგულების შინაარსი და დანიშნულება

1. განკარგულება და მისი დანართები არ წარმოადგენს საჯარო ფასიანი ქაღალდების არასაბირჟო გარიგებისა და მისი პირობების შესახებ წერილობით შეთანხმებას, არამედ საბროკერო კომპანიის მიერ არის იმის დადასტურება, რომ გადაცემა (გასხვისება, ნომინალურ მფლობელობაში გადაცემა ან დაგირავება) ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით განხორციელდა.

2. ფასიანი ქაღალდების არასაბირჟო გარიგებით შეძენა-გასხვისების, დაგირავების ან ნომინალურ მფლობელობაში გადაცემა-მიღების ფაქტები შესაბამის პირად ანგარიშში (ანგარიშებში) უნდა აისახოს კანონით დადგენილი წესით, სათანადო ჩანაწერის სახით:

ა) თუ ფასიანი ქაღალდების გამსხვისებლის (ან მისი წარმომადგენლის) მიერ წარდგენილია ამ წესით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით შედგენილი გასხვისების განკარგულება;

ბ) თუ ფასიანი ქაღალდების დამგირავებლის ან მოგირავნის (ან მისი წარმომადგენლის) მიერ წარდგენილია ამ წესით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით შედგენილი გირავნობის განკარგულება;

გ) თუ ფასიანი ქაღალდების ნომინალურ მფლობელობაში გადამცემის (ან მისი წარმომადგენლის) მიერ წარდგენილია ამ წესით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით შედგენილი ნომინალურ მფლობელობაში გადაცემის განკარგულება;

დ) თუ განკარგულება უფლებამოსილი საბროკერო კომპანიის მიერაა წარდგენილი და ამ განკარგულებაში აღნიშნულია, რომ მისი წარდგენა ამ საბროკერო კომპანიას აქვს დავალებული. ხოლო, თუ გარიგება ბროკერის შუამავლობის გარეშე ხდება, განკარგულება წარდგენილია გარიგების მხარეების ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ.

დანართი №1

გასხვისების განკარგულება № .....

1. გამსხვისებელი:

ა) სახელი, გვარი და მოქალაქეობა: .....

ბ) (სახელწოდება): .....

გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სახე, სერია და ნომერი (რეგისტრაციის თარიღი, ნომერი, მარეგისტრირებელი ორგანოს დასახელება) : .....

დ) მისამართი და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი : .....

ე) პირადი ანგარიშის ნომერი: .....

ვ) წარმომომადგენლობისას – მისი სახელი, გვარი, წარმომადგენლობის სახე და პ ირადობის დ ამადასტურებელი დოკუმენტის სახე, სერია და ნომერი: .....

2. მონაცემები გასხვისებისა და გასხვისებული ფასიანი ქაღალდების შესახებ:

ა) ემიტენტის სახელწოდება: _____

ბ) კლასი: _____

გ) ფქსსნ (თუ მინიჭებული აქვს): _____

დ) რაოდენობა: _____

ე) გარიგების სახე: _____

- ჩუქება - გაცვლა - სესხება - ნასყიდობა.

- საწესდებო კაპიტალში შენატანის საჯარო ფასიანი ქაღალდით (ქაღალდებით) შესრულება

ამასთან, თუ ნასყიდობა შემდეგი სახით ხდება შესაბამისი უჯრედი აღინიშნოს:

ა) ნასყიდობა სატენდერო შეთავაზებით

ბ) გამოსყიდვა („მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53[1] მუხლის მიხედვით)

3. შემძენი:

ა) სახელი, გვარი და მოქალაქეობა: .....

ბ) (სახელწოდება): .....

გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სახე, სერია და ნომერი (რეგისტრაციის თარიღი, ნომერი, მარეგისტრირებელი ორგანოს დასახელება) : . .....

დ) მისამართი და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი .....

ე) პირადი ანგარიშის ნომერი: .....

ვ) წარმომადგენლობისას – მისი სახელი, გვარი, წარმომადგენლობის სახე და პ ი რადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სახე, სერია და ნომერი: .....

4. განკარგულებას თან ერთვის: .....

5. განკარგულების წარდგენის თაობაზე:

___ განკარგულებას გამსხვისებელი ____ განკარგულების წარდგენა

საბროკერო კომპანიას წარადგენს

დაევალოს

6. ფ/ქ რეგისტრატორის ან ნომინალური მფლობელის საფირმო სახელწოდება, რომელსაც განკარგულება წარედგინება: .....

7. გთხოვთ, განკარგულებაში აღნიშნული კლასის და რაოდენობის ფასიანი ქაღალდები გამსხვისებლის პირადი ანგარიშიდან შემძენის პირად ანგარიშზე გადაიტანოთ:

გამსხვისებელი:	შემძენი:
ხელმოწერა:	ხელმოწერა: .....
თარიღი: „.....”.....	თარიღი: „.....”.....
20 ..... წ.	20 ..... წ.

8. გარიგების შუამავალი საბროკერო კომპანიის საფირმო სახელწოდება და ბროკერის ხელმოწერა (თუ გარიგება ბროკერის მეშვეობით შედგა):

საბროკერო კომპანიის საფირმო სახელწოდება და ლიცენზიის N: .....

ბროკერის სახელი, გვარი: .....

ბროკერის ხელმოწერა: .....

თარიღი: „.....”..... 20 ..... წ.

9. მოთხოვნა შესრულებულია:

მარეგისტრირებელის ხელმოწერა: .....

თარიღი: “.....”..... 20 ..... წ.

გირავნობის განკარგულება N .....

1. დამგირავებელი:
ა) სახელი, გვარი და მოქალაქეობა: .....
ბ) (სახელწოდება): .....
გ) პ ირადობის დ ამადასტურებელი დ ოკუმენტ ის სახე, სერია და ნომერი (რეგისტრაციის თარიღი, ნომერი, მარეგისტრირებელი ორგანოს დასახელება) : . .....
დ) მისამართი და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი : .....
ე) პირადი ანგარიშის ნომერი: .....
ვ) წარმომადგენლობისას – მისი სახელი, გვარი, წარმომადგენლობის სახე და პ ირადობის დ ამადასტურებელი დ ოკუმენტ ის სახე, სერია და ნომერი:.....

2. მონაცემები გირავნობასა და დაგირავებულ ფასიან ქაღალდებზე:
ა) ემიტენტის სახელწოდება : .....
ბ) კლასი: .....
გ) ფქსსნ (თუ მინიჭებული აქვს) : .....
დ) რაოდენობა: .....
ე) მოთხოვნის მოცულობა : .....
ვ) სარგებელი : .....
ზ) გირავნობის ვადა:.....
თ) მესამე მოვალე: .....

3. მოგირავნე (კრედიტორი):
ა) სახელი, გვარი და მოქალაქეობა: .....
ბ) (სახელწოდება): .....
გ) პ ირადობის დ ამადასტურებელი დ ოკუმენტ ის სახე, სერია და ნომერი (რეგისტრაციის თარიღი, ნომერი, მარეგისტრირებელი ორგანოს დასახელება) : . .....
დ) მისამართი და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი : .....
ე) პირადი ანგარიშის ნომერი: .....
ვ) წარმომადგენლობისას – მისი სახელი, გვარი, წარმომადგენლობის სახე და პ ირადობის დ ამადასტურებელი დ ოკუმენტ ის სახე, სერია და ნომერი: .....

განკარგულებას თან ერთვის: .....

5. განკარგულების წარდგენის თაობაზე:
– განკარგულება წარედგინება მხარის(მხარეების) მიერ
– განკარგულების წარდგენა დაევალოს საბროკერო კომპანიას

6. ფ/ქ რეგისტრატორის ან ნომინალური მფლობელის საფირმო სახელწოდება, რომელსაც განკარგულება წარედგინება:
....

7. გთხოვთ, განკარგულებაში აღნიშნული კლასის და რაოდენობის ფასიანი ქაღალდების ბლოკირება (გასხვისების შეზღუდვა) მოახდინოთ დამგირავებლის ანგარიშზე:

მოგირავნე: დამგირავებელი:
ხელმოწერა: ..... ხელმოწერა: .....
თარიღი: „.....”..... თარიღი: „.....”.....
20 ..... წ. 20 ..... წ.

8. გარიგების შუამავალი საბროკერო კომპანიის საფირმო სახელწოდება და ბროკერის ხელმოწერა (თუ გარიგება ბროკერის მეშვეობით შედგა):
საბროკერო კომპანიის საფირმო სახელწოდება და ლიცენზიის N: .....
ბროკერის სახელი, გვარი:.....
ბროკერის ხელმოწერა: .....
თარიღი: „.....”..... 20 ..... წ.

9. ბლოკირების მოთხოვნა შესრულებულია:
მარეგისტრირებელის ხელმოწერა: .....
თარიღი: “.....”..... 20 ..... წ.

10. გთხოვთ, ამ განკარგულებაში აღნიშნული ბლოკირება მოხსნათ:
მოგირავნე: დამგირავებელი:
ხელმოწერა: ..... ხელმოწერა: .....
თარიღი: „.....”..... თარიღი: „.....”.....
20 ..... წ. 20 ..... წ.

11 . ბლოკირების მოხსნის მოთხოვნა შესრულებულია:
მარეგისტრირებელის ხელმოწერა: .....
თარიღი: “.....”..... 20 ..... წ.

დანართი N3

გადასაცემი განკარგულება N .....

1. გადამცემი:
ა) სახელი, გვარი და მოქალაქეობა: .....
ბ) (სახელწოდება): .....
გ) პ ირადობის დ ამადასტურებელი დ ოკუმენტ ის სახე, სერია და ნომერი (რეგისტრაციის თარიღი, ნომერი, მარეგისტრირებელი ორგანოს დასახელება):.....
დ) მისამართი და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი: .....
ე) პირადი ანგარიშის ნომერი: .....
ვ) წარმომადგენლობისას – მისი სახელი, გვარი, წარმომადგენლობის სახე და პ ირადობის დ ამადასტურებელი დ ოკუმენტ ის სახე, სერია და ნომერი: .....

2. მონაცემები გადასაცემი ფასიანი ქაღალდების შესახებ:
ა) ემიტენტის სახელწოდება: ..... .
ბ) კლასი: ....
გ) ფქსსნ (თუ მინიჭებული აქვს): .....
დ) რაოდენობა: ....
ე) გარიგების ფასი: .....
ვ) გადაცემის სახე:
– კლიენტის მიერ ნომინალურ მფლობელობაში გადაცემა
– ნომინალური მფლობელის მიერ კლიენტისათვის გადაცემა

3. მიმღები:
ა) სახელი, გვარი და მოქალაქეობა: .....
ბ) (სახელწოდება): .....
გ) პ ირადობის დ ამადასტურებელი დ ოკუმენტ ის სახე, სერია და ნომერი (რეგისტრაციის თარიღი, ნომერი, მარეგისტრირებელი ორგანოს დასახელება): .....
დ) მისამართი და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი: .....
ე) პირადი ანგარიშის ნომერი: .....
ვ) წარმომადგენლობისას – მისი სახელი, გვარი, წარმომადგენლობის სახე და პ ირადობის დ ამადასტურებელი დ ოკუმენტ ის სახე, სერია და ნომერი: .....

4. განკარგულებას თან ერთვის: .....

5. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის საფირმო სახელწოდება, რომელსაც განკარგულება წარედგინება: .....

6. გთხოვთ, განკარგულებაში აღნიშნული კლასის და რაოდენობის ფასიანი ქაღალდები გადამცემის პირადი ანგარიშიდან გადაიტანოთ მიმღების პირად ანგარიშზე:

გადამცემის ხელმოწერა: .....
თარიღი: „.....”..... 20 ..... წ.

7. მოთხოვნა შესრულებულია:
მარეგისტრირებელის
ხელმოწერა: .....
თარიღი: „.....”..... 20 ..... წ

დანართი N4

N ..... განკარგულების დანართი N .....

1. ___ გამსხვისებლის თანამესაკუთრე ___ შემძენის თანამესაკუთრე
___ დამგირავებლის თანამესაკუთრე ___ თანამოგირავნე

2.
ა) სახელი, გვარი და მოქალაქეობა: .....
ბ) (სახელწოდება): .....
გ) პ ირადობის დ ამადასტურებელი დ ოკუმენტ ის სახე, სერია და ნომერი (რეგისტრაციის თარიღი, ნომერი, მარეგისტრირებელი ორგანოს დასახელება):.....
დ) მისამართი და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი: .....

ე) პირადი ანგარიშის ნომერი: .....

ვ) წარმომადგენლობისას – მისი სახელი, გვარი, წარმომადგენლობის სახე და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სახე, სერია და ნომერი: .....

ზ) ხელმოწერა

3. ბროკერის ხელმოწერა: .....

დანართის შევსების თარიღი: "....."..... 20 ..... წ.

დანართი N5

N ..... განკარგულების დანართი N.....

ნომინალურ მფლობელობაში გადაცემული ფასიანი ქაღალდების თანამესაკუთრე:

ა) სახელი, გვარი და მოქალაქეობა: .....

ბ) (სახელწოდება): .....

გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სახე, სერია და ნომერი (რეგისტრაციის თარიღი, ნომერი, მარეგისტრირებელი ორგანოს დასახელება): .....

დ) მისამართი და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი: .....

ე) პირადი ანგარიშის ნომერი: .....

ვ) წარმომადგენლობისას – მისი სახელი, გვარი, წარმომადგენლობის სახე და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სახე, სერია და ნომერი:

.....

ზ) ხელმოწერა: .....

თარიღი: "....."..... 20 ..... წ